სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/05

ქ. თბილისი

5 აპრილი 2026 წ.

სტუ-ის სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე გაყიდვების ლაბორატორიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის სხდომის №9 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 05 თებერვლის სამსახურებრივი ბარათისა (120272) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 5 თებერვლის =01-05-02/02 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. Erasmus+ საგრანტო პროგრამის (KA2 აქტივობა) ინსტიტუციური გაძლიერების პროექტი LISS24 („ისწავლე -გააუმჯობესე - გაყიდე - მიაღწიე წარმატებას“ (No: 101128310 - LISS24 - ERASMUS-EDU-2023-CBHE) ფარგლებში სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - გაყიდვების ლაბორატორია (Sales Lab).

2. მოწონებული იქნეს გაყიდვების ლაბორატორიის დებულება და ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში (დანართები).

3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**